

XVII საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე უმძიმესი და ურთულესი ხანაა საქართველოს ისტორიაში. თავისი ქვეყნის ტრაგიკული ბედი სრულად გაიზიარა კახეთის დედოფალმა, თეიმურაზ პირველის – მეფისა და პოეტის – დედამ ქეთევან ნამებულმა (1575-1624; ხსენების დღე 26 სექტემბერი, ძვ. სტ. 13 სექტემბერი), რომელიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული. 1613 წელს მოვლენები ისე განვითარდა, რომ თეიმურაზ პირველი დიდებულთა მოთხოვნით იძულებული გახდა შაჰ-აბაზ პირველისთვის თავისი მცირეწლოვანი ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე მიეცა მძევლებად და მათ თავისი დედაც აახლა. აქედან დაიწყო ქეთევან დედოფლის ცხოვრების უმძიმესი პერიოდი – თითქმის ათწლიანი ტყვეობა სპარსეთში.

სარწმუნოებისთვის ერთგულების გამო 1624 წელს სპარსეთის შაჰის კარზე ქართველი დედოფლის მონამებრივი აღსასრულის ისტორიულმა ფაქტმა ფართო გამომხატურება ჰპოვა დასავლეთ ევროპის ქვეყნების როგორც საისტორიო ხასიათის, ისე მხატვრულ ნაწარმოებებში. ქეთევან დედოფალმა შირაზის ტყვეობაში ათ წელიწადზე მეტი გაატარა, სამშობლოდან შორს, მუსლიმურ ქვეყანაში იგი ხვდებოდა ხოლმე იმ ევროპელ მოგზაურებსა და მისიონერებს, რომლებიც იმ დროს სპარსეთში მოღვაწეობდნენ ან იქ გავლით იმყოფებოდნენ. ქეთევანის წამების ამბავიც პორტუგალიელი ავგუსტინელი ბერის – მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის მეშვეობით გახდა ცნობილი და მთელ ევროპაში გავრცელდა: ეს არის თვითმხილველის მიერ აღწერილი ერთადერთი წყარო ქეთევან დედოფლის წამების შესახებ. ნაშრომის სათაურია *წამდელი ცნობები უბრწყინვალესი დედოფლის ქეთევანის, დოპოლის, სახელოვან მონამებრივ სიკვდილზე სპარსეთის მთავარ ქალაქ შირაზში, შაჰ-აბაზის ბრძანებით 1624 წლის 22 სექტემბერს* (გულბენკიანი 1987: 26-46), ხოლო ნაშრომის მეოთხე თავი – „ქეთევან დედოფლის სახელოვანი წამება და მშვენიერი სიკვდილი“ – დეტალურად აღწერს ქეთევან დედოფლის მარტვილობას.

XVII საუკუნეში განსაკუთრებით გამოჩნდა ევროპის დიდი დაინტერესება საქართველოთი, რაც დადასტურებას პოულობს როგორც ევროპელ დიპლომატთა, მისიონერთა თუ მოგზაურთა ნაწერებში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში. ევროპის მხატვრულ ლიტერატურაში ქართული თემის შეჭრა, პირველ ყოვლისა, ისეთ დიდ პიროვნებასთან არის დაკავშირებული, როგორც ქეთევან ნამებულია.

ქეთევანის სახე აისახა ბაროკოს ეპოქის გერმანელი დრამატურგის – ანდრეას გრიფიუსის ტრაგედიაში (1657) – *ქეთევან ქართველი, ანუ გაუტყეხელი სიმტკიცე* (გრიფიუსი 1975: 61-213), ხოლო 1701 წელს კი სლოვაკეთის ქალაქ სკალიცაში, რომელიც იეზუიტთა ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, დაიდგა პიესა ქეთევან დედოფლის შესახებ სათაურით – *კატერინა (ქეთევანი), ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი / Caterina, kráľovná gurziánská vlastní krvi ozdobená, na divadlo predstavená, / Catharina, Gurzianorum regina, proprio sanguinae purpurata, theatro data* (Mišianik 1981: 605-610), რომელიც ასევე სლოვაკური ბაროკოს პერიოდს მიეკუთვნება და რომლის სათაურიც მიუთითებს იმაზე, რომ ნაწარმოების მთავარი გმირი წამებულია. ეს ნაწარმოები ე.წ. სასკოლო პიესათა ჟანრის ნიმუშია, რომელსაც განსაკუთრებული ხეობრივ-ალმბრდლობითი ფუნქცია ეკისრებოდა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ აირჩია ორმა ევროპელმა ავტორმა თავისი ნაწარმოების თემად ქართველი დედოფლის ტრაგიკული ისტორია. ამაზე პასუხს ის მშფოთვარე ატმოსფერო იძლევა, რომელიც XVII საუკუნეში ევროპაში სუფევდა და რაც გამოიხატებოდა სისხლიან რელიგიურ დაპირისპირებებში. ის საერთო სიტუაცია და განწყობილება, რომელიც ევროპაში სუფევდა, ნათელს ხდის ქეთევან ნამებულის მონამებრივი აღსასრულის მიმართ იმ ინტერესს, რომელიც ევროპელებმა გამოიჩინეს ქართველი დედოფლის პიროვნებისადმი: ქეთევანის პატრიოტული სულისკვეთება და სარწმუნოებისადმი ერთგულება პასუხობდა იმ იდეალს, რომელიც ამხნევებდა განუწყვეტელ რელიგიურ ომებში ჩაბმულ ბაროკოს ადამიანს, რამაც მის ცნობიერებაში მარ-

ტვილის ხელახალი გააქტიურება გამოიწვია და რაც, როგორც ჩანს, ზნეობრივი იდეალის, მორალური გმირის ძიებით იყო ნაკარნახევი.

სკალიცის იეზუიტური გიმნაზია, სადაც 1701 წელს დაიდგა პიესა – *კატერინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი*, 1659 წელს დაარსდა. იეზუიტებმა სწრაფად ამოიცნეს თეატრის აღმზრდელობითი მნიშვნელობა და მას აღზრდის ერთ-ერთ ორგანულ ელემენტად მიიჩნევდნენ.

აღსანიშნავია, რომ შესაბამისი პერიოდის იეზუიტური ნახევრად-საერო და საერო პიესების წერისას ავტორები ყველაზე მეტად ძველი და ახალი ისტორიიდან აღებული ამბებით სარგებლობდნენ (Minárik 1985: 281)

ქეთევანზე შექმნილი სლოვაკური პიესის ავტორი უცნობია, იგი სკალიცელი იეზუიტის სახელით მოიხსენიება. აღსანიშნავია, რომ პიესებს წერდნენ გიმნაზიის მასწავლებლები ან მაღალი კლასის მოწაფეები, ხოლო მათ წარმოდგენებში მსახიობები ჩვეულებრივ მოწაფეები იყვნენ, ქალთა როლებს კი უმცროსკლასელები ასრულებდნენ. იეზუიტური წარმოდგენები კარგად გამართული, ეფექტური და შთამბეჭდავი იყო.

სასკოლო პიესები ძირითადად ლათინურ ენაზე იწერებოდა, ქართულ თემაზე შესრულებულ პიესას ორენოვანი სინოფსისი ახლდა – შესრულებული როგორც ლათინურ, ისე სლოვაკურ ანუ სლოვაკიზირებულ ჩეხურ ენებზე (Minárik 1985: 281). სინოფსისი წარმოადგენდა რამდენიმეგვერდიან ნაბეჭდ ტექსტს, რომელიც შეიცავდა ნაწარმოების სათაურს, სკოლის მეცენატის სახელს და ტიტულს, ინფორმაციას პიესის წარმოდგენის ადგილსა და დროზე, კლასზე, რომელმაც იგი მოამზადა. ამას გარდა სინოფსისი შეიცავდა ორ მნიშვნელოვან წყაროს: როლების განაწილებას, სცენების თანამიმდევრობასა და შინაარსს. ტექსტთა წიგნები, ანუ პიესების სრული ტექსტები არ იყო გათვალისწინებული საკითხავად, არამედ მხოლოდ რეჟისორის, მოკარნახისა და მსახიობისათვის, ამიტომაც ვერ მოაღწია ჩვენამდე ქეთევანის შესახებ დანერილმა სასკოლო პიესის სრულმა ტექსტმა.

ანონიმი სკალიცელი იეზუიტის პიესის ტექსტის სინოფსისის პირველი, და როგორც ჩანს, ერთადერთი გამოცემა განხორციელდა ტრნავაში პიესის წარმოდგენის წელს (1701) და იგი ბრატისლავის ჰრადის მოხელეს, ვინმე ფრანცისკ ანტონ გიოსინგერს ეძღვნებოდა.

პიესის სინოფსისი შემადგენლობა ამგვარია: მოკლე ისტორიული წინათქმა, პროლოგი, სამი მოქმედება, ორი ქორო და ეპილოგი. პირველი მოქმედებაში ექვსი სცენაა, ხოლო მეორე და მესამე მოქმედებები რვა-რვა სცენისგან შედგება. სკალიცელი ანონიმის დრამის შთამბეჭდავ თავისებურებას ქოროთა და პროლოგ-ეპილოგის ანტიკური (ელინურ-რომაული) ანტიურაჟი ქმნის, რაც ავტორის ფართო ერუდიციაზე მეტყველებს და ეპოქის შესაბამის მხატვრულ გემოვნებასაც ამჟღავნებს. ეს ოთხი მითოლოგიური ინტერმედია თავისი თანამიმდევრობით, როგორც მთლიანობა, თითქოს დამოუკიდებელ პიესას ქმნის. პიესის ქოროებში ავტორს დრამის სიმბოლური შინაარსის გადმოსაცემად საგანგებოდ შეურჩევია ანტიკურ-მითოლოგიური სახეები, რომელთა სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობა იმდროინდელი მაყურებლისათვის გასაგები და ცხადი იყო; ანტიკური მოტივები, ამ შემთხვევაში, დიდაქტიკურ ფუნქციასთან ერთად, სიმბოლოთა როლშიც გამოდიან და პიესაში მოქმედების განვითარების კომენტარს წარმოადგენენ.

ანონიმი სლოვაკი იეზუიტის სასკოლო პიესაში ქართველი დედოფალი სარწმუნოებისა და მამულის ერთგულების სიმბოლოს წარმოადგენს და მაყურებლისათვის იგი სარწმუნოების ერთგულების მისაბაძი მაგალითი უნდა გამხდარიყო, რასაც ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სლოვაკური პიესის შინაარსი შემდეგია: შაჰ-აბასმა დამარცხა ქართველთა მეფე თეიმურაზი, ააოხრა ქვეყანა და მრავალი ქართველი ტყვე ისპაჰანში გარეკა. ტყვეთა შორის იყო ქართველთა დედოფალი ქეთევანი (პიესის მიხედვით – კატერინა), ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული. შაჰ-აბაზს განზრახული ჰქონდა ქეთევანის ცოლად შერთვა, მაგრამ ქართველი დედოფლის წმინდა ცხოვრების წესისა და ქრისტიანული მოძღვრების ერთგულების გამო შაჰმა სანადელს ვერ მიაღწია, თუმც იგი ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რათა ჭეშმარიტი ქრისტიანის გონებიდან ქრისტე განედევნა და იგი მაჰმადიანობაზე მოექცია. შაჰ-აბაზის ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა, რადგანაც დედოფლის სიმტკიცე კლდესავით უტეხი იყო. შაჰმა ვერ შეძლო ქართველი დედოფლის დამორჩილება ვერც მუქარით, ვერც მზაკვრობით და ვერც პირმოთნეობით, რათა მას უარეყო თავისი სარწმუნოება. მტკიცე თავის გადანყევითლებაში, ქართველი დედოფალი თავად

მოითხოვს დასაჯონ სიკვდილით, რასაც იგი ამაყად ამცნობს შაჰის მოციქულს. შაჰის ბრძანებით კატერინას თავს ჰკვეთენ.

კატერინას შაჰ-აბასთან ტყვეობის ამბავს ანონიმმა, როცა პიესად გადააკეთა, სათავგადასავლო ხასიათი მისცა. როგორც სინოფსისიდან ირკვევა, ეს პიესა მეტად დინამიური იყო და სათავგადასავლო ჟანრის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავდა.

კვანძი იკვრება პირველი მოქმედების პირველ სცენაში, როდესაც შაჰი ცდილობს ქეთევანისაგან მისი აზრი გაიგოს მისათვის ცოლად გაყოლის თაობაზე. შემდეგ თანდათან სხვა გმირებიც ერთვებიან პიესაში და სიუჟეტს სხვადასხვა პერიპეტეხებით ამდიდრებენ. პიესაში რამდენიმე სიუჟეტური ხაზია, ძირითადი, რა თქმა უნდა, ქეთევანისა და შაჰის დაპირისპირებაა, მაგრამ პარალელური ხაზებიც არანაკლებ საინტერესოა, ისინი პირთა გარკვეულ ჯგუფებად წყვილდებიან და ყველა მათგანს ერთი რამ აერთიანებს: ისინი ქრისტიანული და მუსლიმანური რელიგიის შორის არსებული კონფლიქტის გარშემო ტრიალებენ.

როდესაც ხელთ არ გვაქვს თვით პიესის ტექსტი და მსჯელობა გვიხდება მხოლოდ სინოფსისის მიხედვით, ბუნებრივია, შეზღუდულნი ვართ ამ მხატვრული სახის სრულად წარმოდგენით. მიუხედავად ამისა, არსებული მასალა მაინც გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ იგი ისე, როგორც განახორციელა ანონიმმა ავტორმა. პირველ ყოვლისა, პიესაში ქეთევანი წარმოდგენილია ახალგაზრდა, ლამაზ და წარჩინებულ ქალად. მისი სახის ამგვარად დახატვას ისიც უწყობს ხელს, რომ პიესაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ქეთევანის ვაჟიშვილი არის თეიმურაზი, ქართველი მეფე. ამას გარდა, ქეთევანი ავტორმა ახალგაზრდა ქალად წარმოადგინა, რომლის დაუფლებაც სურს შაჰ-აბასს. ამასთან, ქეთევანი ცოლად გაყოლას ჰპირდება შაჰთან ტყვედ მყოფ ქართველ დიდებულს. ამ გამოგონილ პერსონაჟს ანონიმმა ბისელიუსის თხზულებაში სხვა ადგილას ამოკითხული სახელი კავადა უწოდა. აქ კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: კავადას სიუჟეტში შემოყვანით ქართველი დედოფლის პარტიოტიზმს კიდევ უფრო ნათლად ესმება ხაზი. პირველსავე მოქმედებაში (სცენა 4) კატერინა პირობას აძლევს კავადას, რომ ცოლად გაჰყვება, თუკი ის სპარსელებს შეებრძოლება, დაამარცხებს მათ და გამარჯვებულის დიდებით შეიმოსება.

კატერინა ავტორს დახატული ჰყავს ძლიერ, კლდესავით უტეხ პიროვნებად, რომელიც მზადაა მიიღოს მონამებრივი სიკვდილი, მაგრამ არ უღალატოს რჯულსა და მამულს. მთავარი სლოვაკი ავტორისათვის ის იყო, რომ ეჩვენებინა, კატერინა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე უარის თქმას სიკვდილს ამჯობინებს და შაჰის ბრძანებით მას თავს ჰკვეთენ. აქედან ნათელია, რომ ქართველი დედოფლისთვის უმთავრეს ღირებულებას ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულება წარმოადგენს.

ამასადამე, სლოვაკი იეზუიტს ქართველი დედოფალი ახალგაზრდა ქალად ჰყავს წარმოდგენილი, ხოლო ამგვარი სახის შექმნა, სადაც ახალგაზრდა, ლამაზ, ტყვედ ჩავარდნილ, უმწეო წარჩინებულ ქალწულს უპირისპირდება ყოველგვარი უზენოებისა და ბოროტების განსახიერება დესპოტი შაჰ-აბასი, მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა მოზარდებზე, რომლებიც ამ პიესის შემსრულებელნი და მამყურებელნი იყვნენ.

საინტერესოა, საიდან მოიპოვა ცნობები საქართველოსა და ქეთევანის შესახებ სკალიცელმა იეზუიტმა. ამაზე კი პასუხს იგი თავად გვცემს. მნიშვნელოვანია, რომ სლოვაკი იეზუიტი თავისი პიესის შესავალში მიუთითებს იმ ისტორიულ წყაროებს, რომლებითაც მან ისარგებლა პიესის წერის დროს. „მოკლე ისტორიული წინათქმის“ ბოლოს იგი წერს: „ასე წერს ბისელიუსი, *Illustres ruinae, Decas IV, 2*, და ოლეარიუსი *De rebus gestis Schach-Abae*, გვ. 645.” (Mišianik 1981: 605) და დასძენს, რომ სხვა ყველაფერი, რაც ამის გარდა არის ტექსტში, მისი პოეტური ფანტაზიის ნაყოფია. ადამ ოლეარიუსი კარგადაა ცნობილი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ხოლო ბისელიუსის ნაშრომი, რომელსაც იგი მოიხსენიებს და სადაც ქეთევანზე და საქართველოზეა საუბარი, სწორედ სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესის მეშვეობით გახდა ცნობილი და მისი მოძიება შეუძლებელი. ნიგნის სრული სათაურია: *Bisseli Ioannis, Illustrium, Ab Orbe Conditio, Ruinarum, Decadis IV, Pars II, Permissu Superiorum. Delingae, Formis Academicis, Apud Ignatium Maier. Anno M. CD. LXIII. (1663)*. თავად ავტორის, იოჰანეს ბისელიუსის (1601-1677) შესახებ ცნობები კი საკმაოდ მწირია, ცნობილია, რომ იგი გერმანელი იეზუიტი იყო.

უნდა ითქვას, რომ „მოკლე ისტორიული წინათქმას“ რომელიც ერთგვარ ექსპოზიციას წარმოადგენს, ერთდროულად ორი ფუნქცია აქვს, იგი ექსპოზიციაც არის და მასში აღწერილია ის ისტორიული მოვლენები, რომელთა ფონზეც შემდეგ პიესაში მიმდინარეობს მოქმედება. წინათქმა მაყურებელს აცნობს მთავარ გმირებსა და მათ დახასიათებას იძლევა რამოდენიმე შტრიხით; აგრეთვე იძლევა ზოგად წარმოდგენას მაყურებლისათვის იმ შორეული ქვეყნების, ანუ საქართველოსა და სპარსეთის შესახებ, სადაც მოქმედება ვითარდება ან საიდანაც არიან პიესის გმირები.

პიესის „წინათქმაში“ ვკითხულობთ:

იმ სპარსელ მონარქთა შორის, რომელნიც ქრისტიანობის პერიოდში მეფობდნენ, იყო შაჰ-აბასი. იგი თავისი ერთ-ერთი ცოლის გამო, რომელიც ქრისტიანი იყო, ცბიერობდა, თითქოს მორწმუნე იყო და დიდ პატივს სცემდა ქრისტეს მოძღვრებას, სინამდვილეში კი ურჯულო ცხოვრებას ეწეოდა და ამასთანავე სასტიკად სდევნიდა ქრისტიანებს. (.....) ქართველებს, რომელნიც ქრისტიანები იყვნენ, ხშირად ავიწროვებდა ომებით. როდესაც მესამედ დაიძრა მათ წინააღმდეგ, ტამერ ხანი (Tamer chan – თეიმურაზი – მ. ნ.), იმ ქვეყნის მეფე დაამარცხა, გაანადგურა ქვეყანა და მრავალი შებორკილი ქართველი ისპაჰანში გარეკა, ხოლო აღთქმის თანახმად, თუ გამარჯვებული დაბრუნდებოდა, აპირებდა თვითოეული მათგანი ერთ აბად ანუ ერთ სპარსულ გროშად გაეყიდა. სხვა ნადავლთან ერთად, რომელიც ამ გამარჯვებით მოიპოვა, იყო კატერინა, ქართველთა დედოფალი, წარჩინებული და დიდი სილამაზის ქალი, მეტად კეთილშობილი და ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული. კატერინა შაჰ-აბასს ცოლად, მეოთხე დედოფლად უნდოდა (სხვა სამი უკვე ჰყავდა), ხოლო რადგან კატერინას წმინდა ცხოვრების, უმწიკვლო ქცევისა და ასევე ქრისტიანული მოძღვრების სახით, რომელიც მხოლოდ ერთი ცოლის ყოლის ნებას რთავს, დიდ წინააღმდეგობას და დაბრკოლებას ხვდებოდა, ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რათა ამ წარმართს ჭეშმარიტი ქრისტიანის გონებიდან ქრისტე გაენედევნა და მის ადგილას ურჯულო მუჰამედი დაეყენებინა. მაგრამ ყველა ცდა ამოაღმორჩა, რადგან დედოფლის სიმტკიცე კლდესავით უტეხი რჩებოდა. შაჰმა ვერანაირი მუქარით, მზაკვრობითა და პირმოთხოვრებით ვერ დაიმორჩილა კატერინა, რათა თავის მხსნელ სარწმუნოებაზე უარი ეთქმევინებინა. დედოფალმა სასტიკი სიკვდილი ამჯობინა სისხლის სამოსით და გამარჯვებულის ტრიუმფით წარუდგა თავის მხსნელს – ქრისტეს (Mišianik 1981: 605).

სასკოლო პიესაში ყურადღებას იქცევს ეპლოგის ის ადგილი, სადაც ვკითხულობთ, რომ ქეთევანს ავედრებენ სკალიცის გიმნაზიის მეცენატის, გიოსინგერის ოჯახს, „რათა ამ წამებულმა მარადიული მფარველობა გაუწიოს ამ ოჯახს და ილოცოს მისთვის თავის ციურ დიდებაში, რასაც ის შეისმენს“ (Mišianik 1981: 609-610). მაშასადამე, ქეთევანი სასკოლო პიესაში კათოლიკური ეკლესიის წმინდანად არის წარმოდგენილი. ამიტომ საინტერესოა, რა წყაროს ეყრდნობოდა ავტორი ამ შემთხვევაში, ამაზე კი პასუხს ბისელიუსის ნაშრომში ვპოულობთ. ბისელიუსს სხვადასხვა ადგილზე სამი ცნობა აქვს უშუალოდ ქეთევან დედოფლის სარწმუნოებრივი აღმსარებლობის შესახებ. ეს ცნობები ასეთი თანამიმდევრობით გვხვდება:

შემდეგ შაჰ-აბასი დიდ ადგილს უთმობდა თავის ძალაუფლებას და ცხოვრებას; იგი კეთილმოსურნედ ექცეოდა თავის ქრისტიან ცოლს, რომელიც ჩვენს წმინდანთა თანაა შერაცხული; იგი მას უშვებდა ავგუსტინელთა ორდენის მიმდევრებთან, ისპაჰანის რეზიდენციაში (ხაზი აქ და შემდეგ ჩემია – მ. ნ.) (Bisselius 1663: 1060),

ტყვეთა შორის იყო კატერინა, ქართველთა დედოფალი, ქრისტიანული კულტის მტკიცე მიმდევარი, უფრო ზუსტად – ორთოდოქსულისა, გარდა ამისა, იგი გამოირჩეოდა სილამაზით, წარმომავლობით და ღირსებით (Bisselius 1663: 1062)

სასტიკი წამებით იგი (ქეთევანი – მ. ნ.) უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი, მაგრამ მას ძალას აძლევდნენ ასკეტი ავგუსტინელები, რომელთაც იქ შეაღწიეს და ამხნევებდნენ წმინდა წამებულის გვირგვინით“ (Bisselius 1663: 1063).

უნდა აღინიშნოს, რომ ბისელიუსის ნაშრომში ისტორიული ფაქტები დამახინჯებულია და ტყუილ-მართალი ერთმანეთშია არეული, ცხადია, ქეთევანი არასოდეს ყოფილა შაჰის ცოლი, როგორც ამას ბისელიუსი წერს, მაგრამ ის, რომ სპარსეთში ტყვედ მყოფ

ქეთევან დედოფალს შირაზში მოღვაწე ავგუსტინელ ბერებთან ჰქონდა ურთიერთობა, ეს სინამდვილეს შეესაბამება და ისიც ფაქტია, რომ ავგუსტინელი ბერი, ამბროზიო დუშ ანჟუში ქეთევანის წამების თვითმხილველი იყო და აღწერა კიდევ ქეთევანის მარტვილობა. ხოლო ცნობას ქეთევანის კათოლიკური ეკლესიის წმინდანობის შესახებ კი უშუალოდ მივყავართ მამა ამბროზიო დუშ ანჟუშთან და მის *ნამდვილ ცნობებთან*. ავგუსტინელი ბერები დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოში მისიის დაარსებით და მიაჩნდათ, რომ თუ ქეთევანს რომი კათოლიკური ეკლესიის წმინდანაც გამოაცხადებდა, მათ ორდენს მისიის დაარსებაში უპირატესობა ექნებოდა სხვა ორდენებთან შედარებით. ამიტომ, მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის ზოგიერთი ბუნდოვანი ფორმულირებების გამო ქეთევან დედოფალი არა მართლმადიდებლად, არამედ კათოლიკედ და შესაბამისად კათოლიკე წმინდანად იქნა წარმოდგენილი (ნაჭყებია 1998: 15-52). თუმცა, 1640 წელს, რომში ყოფნის დროს, მამა ამბროზიო დუშ ანჟუშმა პირდაპირ აღიარა, რომ ქეთევანს მართლმადიდებლური ეკლესია არ მიუტოვებია. მან განაცხადა:

სავარაუდოა, რომ დედოფალი ზეცაშია და ღვთის დიდებით ხარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წესჩვეულებას მისდევდა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმინდა კათოლიკურ ეკლესიას და ყველა ლათინელს. მხურვალედ უყვარდა ისინი და რითაც შეეძლო ემსახურებოდა მათ. გარდა ამისა, ჩვენთან ისეთ კარგ ურთიერთობაში იყო, რომ შეუძლებელია წმინდა კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგე ყოფილიყო (გულბენკიანი 1987: 22).

თუმცა, როგორც ჩანს, ბისელიუსის ხელთ სწორედ ის ბუნდოვანი და ორაზროვანი ცნობა აღმოჩნდა, სადაც ქეთევანზე საუბარია, როგორც კათოლიკური ეკლესიის წმინდანზე, ბისელიუსის ნაშრომში ამოკითხული ამ ცნობით კი შემდგომ, პიესის წერის დროს, როგორც ჩანს, ისარგებლა სლოვაკმა იეზუიტმა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქეთევანის მოწამებრივი აღსასრულის ისტორიის გეოგრაფია გაფართოვდა და მას კიდევ ერთი ქვეყანა, სლოვაკეთი შეემატა. XVII საუკუნის ევროპაში მორალური გმირის ძიებაში მწერლები ხშირად წარსულისკენ მიმართავდნენ მზერას და იდეალს წარსულში ეძებდნენ, ან სხვა ქვეყნის ისტორიას იშველიებდნენ, საქართველოში ამგვარი პიროვნება რეალურად არსებობდა. ქეთევანის პიროვნება აისახა სლოვაკურ ლიტერატურაში და სამუდამოდ დაიმკვიდრა იქ ადგილი, როგორც პატრიოტმა და სარწმუნოებისათვის თავდადებულმა პიროვნებამ, წამებულმა, მორალური გმირის განსახიერებამ.

დამოწმებანი:

გრიფიუსი 1975: ანდრეას გრიფიუსი, *ქეთევან ქართველი ანუ გაუტყეხელი სიმტკიცე*. გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა, რედაქცია და ნარკვევი შოთა რევიშვილისა. თბილისი, საბჭოთა საქართველო.

გულბენკიანი 1987: რ. გულბენკიანი, *ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ*. ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბალუამ და ც. ბიბილეიშვილმა. თბილისი, მეცნიერება.

ნაჭყებია 1998: მ. ნაჭყებია, ქეთევან დედოფლის აღმსარებლობა უცხოურ წყაროთა შუქზე. *რელიგია*. № 3-4.

Bisselius 1663: Bisselius Ioannis, *Illustrium, Ab Orbe Conditio, Ruinarum, Decadis IV, Pars II*, Permissu Superiorum. Delingae, Formis Academicis, Apud Ignatium Maier. Anno M. CD. LXIII (1663).

Mišianik 1981: *Antológia Staršej Slovenskej Literatúry*. Na vydanie pripravil a poznámky napísal J. Mišianik. Bratislava.

Minárik 1985: J. Minárik, Jozef. *Dejiny slovenskej literatúry*. I, *Staršia slovenská literatúra (800-1780)*, Bratislava.